კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3
ტელეფონი - 032 2 47 42 42

4 აპრილი, თბილისი - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების „ქართულ დასურათებულ ხელნაწერთა გაფორმებაში ჩართული მინიატურების მონაცემთა ბაზა“ და „ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ხელნაწერთა გაფორმებაში: ლიტერატურული და იკონოგრაფიული წყაროები“-ის პრეზენტაცია გაიმართება.

პროექტები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა და მათი მიზანია სამეცნიერო სივრცეში ინფორმაციული და პრაქტიკული კუთხით გამოსაყენებელი ბაზის შექმნა, რაც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს მარტივად მოიძიონ სასურველი ინფორმაცია: სხვადასხვა უძველეს ხელნაწერში ჩართული მხატვრობის ნიმუშები, მათი შინაარსობრივი დატვირთვა, სიმბოლური მნიშვნელობა, წლების განმავლობაში ერთი და იგივე სიუჟეტის სახეცვლილება.

მნიშვნელოვანია, რომ საინფორმაციო ბაზა ორნეოვანია და უცხოელ დაინტერესებულ მეცნიერებსაც შეეძლებათ ბაზით სარგებლობა. არსებული ბაზა არის ორივე განხორიცელებული პროექტის პირველი ეტაპი. ბაზა მუდმივად განახლებადი იქნება და მომავალშიც შეივსება.

პროექტების პრეზენტაცია ჩატარდება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ილია აბულაძის სახელობის საგამოფენო დარბაზში. დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ პროექტის ფარგლებში დაბეჭდილი ალბომი იხილონ, დეტალურად გაეცნონ ბაზის ფუნცქიონირების შესახებ ინფორმაციას და კითხვებით მიმართონ პროექტის ორგანიზატორებს.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საკონტაქტო პირი:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com **577 977 199**
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge **599 899 628**